დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერია

შეფასების თარიღები -10 და 11 მაისი 2022 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი - 4 ივლისი 2022 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	211358449

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	კი
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	ქალაქი თბილისი, მირიან მეფის ქუჩა, N16
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, მირიან მეფის ქუჩა, N16
საფოსტო ინდექსი	0159
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.iberiaschool.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	iberiasc@iberiaschool.ge
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599205137, 577 293 369

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ნინო ზაქარეიშვილი
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599 20 51 37
ელ-ფოსტა	ninozakara@yahoo.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 21 აპრილის MES 1 22 0000416407 ბრძანება.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2022 წლის 10, 11 მაისი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	გულნარა ხაბურზანია
წევრი (სახელი, გვარი)	მაკა ტუკვაძე

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის			
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება,	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☐	☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები			
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☐	☒
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☐	☒
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.7.*	მარეგულირებელი დოკუმენტები შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.3.*	შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ვერ უზრუნველყოფს თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების გამჭირვალე სისტემის არსებობას.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	• სასკოლო სასწავლო გეგმა და საათობრივი ბადე მოყვანილ იქნას შესაბამისობაში, რადგან დამატებითი საგანამანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების საგნების სააათობრივი დატვირთვა და ცხრილი არ ემთხვევა სასკოლო სასწავლო გეგმით აღწერილობას. • სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		21 პუნქტი 6-ის შესაბამისად ,,სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა დამტკიცდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე“.
	1.3.	სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სსსმ მოსწავლის განმარტება შესაბამისობაში მოვიდეს ესგ 41-ე მუხლის მე-2 პუნქტთან.
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	- №2 სასწავლო კორპუსში არსებული ბაღის ფართი გაიმიჯნოს სკოლის ფართისგან; -სკოლამ მოაწესრიგოს სპორტული მოედანი. შეცვალოს მოედნის ხელოვნური საფარი და შეაკეთოს კალათბურთის ფარები.
	2.5	სკოლამ უზრუნველყოს ვებგვერდზე სკოლის სტრუქტურისა და მარეგულირებელი დოკუმენტების განთავსება, ასევე სიახლეებისა და სკოლაში განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალების განახლება.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.3*	რეკომენდებულია შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას მიერ შემუშავებულ იქნას თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტი.
	3.4.	პერსონალის პირადი საქმე მოწესრიგდეს საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების კანონის“ 33-1 მუხლის შესაბამისად. პერსონალის პირად საქმეში უნდა ინახებოდეს ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	

დაწესებულების მისია	შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა „იბერია“ წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც სწავლებას ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სამივე საფეხურზე. იგი საზოგადოებასთან და მშობლებთან თანამშრომლობის გზით, განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე მიზნად ისახავს: • თითოეული მოსწავლის აკადემიური, სოციალური, ფიზიკური და ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას; • გაძლიერებული მშობლიური და უცხოური ენების შესწავლის გზით შექმნას ბავშვებზე ორიენტირებული ჰუმანური სასწავლო გარემო; • მოსწავლეთა მიღწევები აქციოს უმაღლეს პრიორიტეტად და მის განსახორციელებლად მოიზიდოს შესაბამისი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსები.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	• შემაჯამებელი დავალებები ძირითადად იყო ტესტური ტიპის, არჩევითბოლოიანი ტიპის დავალებებით, რომლის სტანდარტის შედეგებში ეწერა ღრმა სააზროვნო უნარების ამსახველი აღწერილობა (მაგ: მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა, შეუძლია მოიყვანოს მაგალითი, მოსწავლე მსჯელობს გარკვეული პროცესების შესახებ და სხვ.) ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა საგნის შემაჯამებელ დავალებებში, მოცემული იყო როგორც დახურული, ასევე ღია ტიპის დავალებები. სტანდარტის შედეგებში მოცემული აღწერილობა შეესაბამებოდა შემაჯამებელი დავალების ფორმატს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• შემაჯამებელი დავალებები ჩატარებული იყო IV კლასში ყველა საგანში და მოსწავლეები შეფასებული იყვნენ განმსაზღვრელი ქულებით, რაც ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმის 31-ე მუხლის პირველ პუნქტს. სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და მოსწავლეების შეფასება ხდება ხდება მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: -------325-------	ექსპერტი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☒	შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას ექსპერტთა ვიზიტის დროს საინვენტარო აღრიცხვით ჰქონდა 269 მერხი. შესაბამისად სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ დაწესებულებას შეუძლია საგანმანათლებლო მომსახურება გაუწიოს მხოლოდ 269 მოსწავლეს.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან	შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერია წარმოადგენს კერძო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად სამივე საფეხურზე და ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველს. სასკოლო სასწავლო გეგმა შეთანხმებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (ოქმი N1 10.09.2021) და დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2021 წლის 16 სექტემბერს. შინაარსითა და სტრუქტურით შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ➢ სასკოლო სასწავლო გეგმის სტრუქტურა და დანიშნულება; ➢ სკოლის ხედვა და მისია; ➢ 2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი; ➢ საათობრივი ბადე; ➢ დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა; ➢ დისტანციური სწავლების დღის რეჟიმი და საათობრივი ბადე; ➢ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება; ➢ საგანმანათლებლო რესურსები; ➢ სასკოლო შეფასება. მოსწავლის შეფასების სისტემა; ➢ სადამრიგებლო პროგრამა კლასის დამრიგებლის მუშაობის პრინციპები; ➢ საგნობრივი კათედრები; ➢ ინკლუზიური განათლება; ➢ კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება. სასწავლო წელი მოიცავს ორ სემესტრს, სემესტრის დაწყება-დამთავრება და არდადეგების ხანგრძლივობა განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად. უქმე დღეების რაოდენობა შეესაბამება საქართველოში მოქმედი შრომის კოდექსის 30-ე მუხლს. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი: **საათობრივი ბადე** აზუსტებს მოსწავლეთა აუცილებელი კვირეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დატვირთვის ოდენობას კლასებისა და საგნების მიხედვით. მიუთითებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო და დამატებითი მომსახურეობის საგნების ჩამონათვალს. 2021-2022 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს უცხოური ენების სწავლებას ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული სქემით, რომლის თანახმად, პირველი უცხოური ენა(ინგლისური ენა) ისწავლება I-XII კლასებში(პირველი კლასიდან 2სთ. მე-2-7 კლასებში ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებით ინგლისურს ემატება 1სთ, ხოლო მე-8-11კლასებში -2სთ), მეორე ენა - რუსული ენა (III-XII), მე-3-11 კლასებში 2სთ. ხოლო მე-12 კლასში 1სთ. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მესამე ენას - გერმანულ ენას მე-5-9 კლასებში 2 სთ. მე-10-12(პირველ სემესტრში)კლასებში გერმანული ენა ისწავლება როგორც არჩევითი საგანი. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში გაძლიერებულად ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, მათემატიკა, თუმცა მათემატიკა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათობრივ დატვირთვას გარდა მე-6 კლასისა, სადაც ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებით ემატება 1 სთ. უცხოური ენის, დამატებით საგანამანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების საგნებისთვისაც გაძლიერებული სწავლების ფონზე შემცირებულია საათობრივი დატვირთვა შემდეგ საგნებში: V-VI-კლასებში ჩვენი საქართველოს -აკლდება 1 სთ; V-VI-კლასებში ბუნებისმეტყველებას აკლდება 1სთ, I-VI- ფიზიკური აღზრდას აკლდება -2 სთ; V - კლასში მუსიკას აკლდება -1სთ; V- VI კლასში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებას აკლდება -1სთ. VIII-IX კლასებში - ისწავლება 1სთ; VII-კლასში მუსიკას აკლდება 1 სთ; VIII კლასის მე-2 სემესტრში -1სთ, IX- პირველ სემესტრში აკლდება -1სთ; VIII -კლასში ისტორიაში მე-2 სემესტრში და IXკლასში აკლდება-1სთ; - X-XII კლასებში ისტორია ისწავლება -2სთ; X-კლასში სამოქალაქო განათლება ისწავლება-2სთ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	VII-Xკლასებში ბიოლოგია ისწავლება - 2სთ; VIII-IXკლასებში ქიმია ისწავლება - 2სთ, X-XI-კლასებში ქიმია ისწავლება - 3სთ; XI კლასში საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება ისწავლება-1სთ. **დამატებით საგანამანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების სახით განსაზღვრულია:** სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება მიმდინარეობს შემდეგ საგნებში: • რელიგიის ისტორია -2სთ (1-6კლ) და 1სთ (7-9კლ.); • მეტყველების კულტურა -2სთ (1-4კლ); • ჭადრაკი-1სთ. (2-5კლ); აღნიშნული საგნების საათობრივი დატვირთვა საათობრივი ბადისა და ცხრილის მიხედვით არ ემთხვევა სასკოლო სასწავლო გეგმას. კერძოდ: რელიგიის ისტორია ცხრილის და საათობრივი ბადის მიხედვით ისწავლება **1-7 კლასების ჩათვლით, ხოლო მე-8 და მე**-9 კლასში საერთოდ არ ისწავლება. ამასთანავე რელიგიის ისტორია საათობრივი ბადის მიხედვით მე-7 კლასში არჩევით საგნად ისწავლება, რაც არ ემთხვევა სასკოლო სასწავლო გეგმის აღწერილობას. საათობრივი ბადის მიხედვით ჭადრაკი ისწავლება **1-4 კლასებში.** ცხრილის და სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით კი მე-2-5 კლასებში. აღნიშნულის თაობაზე სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეს მხოლოდ ტექნიკური შეცდომა იყო. დაწესებულებამ ექსპერტების მიერ მიიღო რეკომენდაცია **<u>სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები მოიყვანონ შესაბამისობაში.</u>** დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებისთვის შემუშავებულია სამუშაო გეგმა. **<u>დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით გამოთქვა მზადყოფნა აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინოს 2022-2023 სასწავლო წლისთვის ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებისას.</u>** **სასკოლო შეფასება** მოიცავს დაწესებულებაში დანერგილ შეფასების მიდგომებს, კერძოდ: V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურის თითოეული საგნისთვის განსაზღვრავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სემესტრების მიხედვით ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას, მოსწავლის მიერ გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესს და პროცედურას (აღდგენის ვადა და მისი ჩატარების ფორმა), განსაზღვრავს საფეხურის დაძლევისა და კლასიდან კლასში გადასაყვან ბარიერს. შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიაში ისწავლება ყველა სავალდებულო საგანი. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოები დანართის სახით. წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების პროგრამა და სადამრიგებლო პროგრამის ზოგადი პრინციპები. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ სკოლის დაწესებულებამ მიიღო <u>რეკომენდაცია ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 21 პუნქტი 6-ის შესაბამისად სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების ვადების დაცვის შესახებ, კერძოდ ,,სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა დამტკიცდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე“.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • ინტერვიურება სკოლის წარმომადგენლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ფუნქციონირებს საგნის/საგნობრივი ჯგუფის ხუთი კათედრა: ➢ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა; ➢ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; ➢ უცხოურ ენათა კათედრა; ➢ მათემატიკის კათედრა; ➢ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; სპორტის, მუსიკის, ხატვის მასწავლებლები გადანაწილებულები არიან ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე. თითოეულ კათედრას ჰყავს თავმჯდომარე. კათედრა აერთიანებს შესაბამისი მიმართულების საგნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თითოეულმა კათედრამ წარმოადგინა საგნობრივი თემატური გეგმები. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მისაღწევი შედეგების შემოწმების მიზნით ტარდება შემაჯამებელი წერები, რომელსაც თან ახლავს მასწავლებელთა მიერ განხორციელებული ანალიზებიც. წარმოდგენილი შემაჯამებლის ანალიზის ფორმებიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა შედეგების გაანალიზება ხდება როგორც ცალკეული შემაჯამებლის ფარგლებში, ასევე სემესტრის და სასწავლო წლის დონეზეც, იდენტიფიცირებულია პრობლემები და აღნიშნულია პრობლების გადაჭრის გზები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ კათედრები სამუშაო შეხვედრებზე განიხილავენ მიმდინარე სასწავლო პროცესს, აკადემიურ შედეგებს, ისახება სირთულეთა გადაჭრის გზები და დგება სამომავლო გეგმები. მოსწავლეები იღებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებებს. თემატური გეგმების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მასწავლებელთა ნაწილი არასწორად იყენებდა 2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების ინდექსებს(მაგ: მე-9 კლასში ინგლისურში წერია უცხ.საბ.III ნაცვლად Iუცხ.საბ.1; რუსულში მე-10/11/12 კლასებში სტანდარტის ინდექსად მითითებულია უცხ.X, უცხ.XI, უცხ.XII; ასევე ბუნების თემატურ გეგმაში). ამასთან დაკავშირებით ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ რადგან სკოლა არ არის ახალი სკოლის მოდელში ჩართული, ამიტომ იქნა ძველი ინდექსები გამოყენებული. აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე საგანში მაინც გამოყენებულია კომპლექსური დავალება. ინტერვიუს დროს და ასევე დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ესგ-ს სიახლეებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრების ორგანიზებისა და ამ მხრივ ხარისხის სამსახურის მონიტორინგის გაძლიერების საჭიროება. ამასთანავე სკოლის დირექტორის 2021-2022 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ანგარიშის თანახმად მიმდინარეობს საგნობრივი კათედრების მუშაობის მონიტორინგი. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანამანათლებლო მომსახურებას სავალდებულო სახით (რელიგიის ისტორია, მეტყველების კულტურა, ჭადრაკი). სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად სკოლას უფლება აქვს შესთავაზოს მოსწავლეებს ეროვნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი ფასიანი მომსახურეობა სხვადასხვა წრეების სახით მაგ: ქართული და სამეჯლისო ცეკვები, ბალეტი, ტანვარჯიში, მაგრამ პანდემიასთან დაკავშირებული გართულებების გამო სკოლა 2021-2022 სასწავლო წელს არ სთავაზობს მოსწავლეებს ფასიან მომსახურეობას. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ასევე სადამრიგებლო პროგრამები თითოეული კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად დამრიგებელი ვალდებულია სადამრიგებლო ე.წ. „კლასის საათი“ ორ კვირაში ერთხელ ჩაატაროს დაწყებით საფეხურზე, ხოლო თვეში ერთხელ საბაზო და საშუალო საფეხურზე. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ 2021-2022 სასწავლო წელს მოსწავლეები ნაკლებად არიან ჩართული ოლიმპიადებში/სასწავლო აქტივობებში. ამის მიუხედავად სკოლაში მაინც განხორციელდა ღონისძიებები: ❖ ფიზიკა - მუსიკის ინტეგრირებული გაკვეთილი ,,ცისარტყელა“; ❖ სკოლაში ჩატარდა შემოდგომის კვირეული - „შემოდგომის გაცილება“; ❖ ისტორიის მასწავლებლის ხელმძღვანელობით მოსწავლეები იმყოფებოდნენ ეროვნულ მუზეუმში გამოფენაზე ,,სიცოცხლე და სიკვდილი დიდებული-პომპეი“, სადაც წარმოდგენილ იქნა მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა პომპეის არქეოლოგიური პარკიდან; ❖ მოსწავლეებმა მოინახულეს ილია ჭავჭავაძის და ნიკოლოზ ბარათაშვილის მუზეუმები; ❖ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს შოკოლადის მუზეუმში შემეცნებით პროგრამაში; ❖ სკოლის ბიბლიოთეკაში ჩატარდა წიგნის კითხვის კვირეული, სადაც მოსწავლეების მიერ შერჩეული ლიტერატურიდან ხმამაღლა უკითხავდნენ მსმენელს მოთხრობებს. მონაწილე მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სპეციალური სიგელებით; ❖ დაუნის დღესთან დაკავშირებით ბიოლოგიის მასწავლებლის ხელმძღვანელობით მე-11 კლასის მოსწავლეებმა ჩაატარეს კონფერენცია და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმები; • მასწავლებლების მიერ დაგეგმილი შემაჯამებელი დავალებები; • შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები; • დირექტორის, ორგანიზატორის, მასწავლებლების, დამრიგებლების, კათედრის ხელმძღვანელების ანგარიშები; • საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები; • გასაუბრება სკოლის აკადემიურ დირექტორთან და კათედრის ხელმძღვანელებთან; • მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრება; • სკოლის სოციალური ვებგვერდი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიაში მოსწავლეები უზრუნველყოფილები არიან განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომელიც ამავდროულად წარმოადგენდა სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებაში ჩართულია სკოლის ფსიქოლოგი. <u>სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სსსმ მოსწავლის განმარტებაში არ გვხვდება ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში,</u> რაც განსაზღვრულია ესგ-ის 41 მუხლის, მეორე პუნქტით. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ სკოლას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული პუნქტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე. <u>არგუმენტირებისას დაწესებულებამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩასწორებული აღნიშნული პუნქტი.</u> სკოლას ამჟამად ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე, რომლისთვისაც შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ფსიქოლოგი მუდმივად მუშაობს პედაგოგებთან, ეხმარება საგნის მასწავლებლებსს სსსმ მოსწავლისათვის ადეკვატური სასწავლო გარემოს შექმნაში, სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, რაც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის კოგნიტურ, ემოციურ და სოციალურ განვითარებას, სსსმ მოსწავლის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისებას, ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას, მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. მშობლებთან, მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ინტერვიურებით დასტურდება, რომ სკოლა პანდემიის პერიოდშიც ცდილობდა სასწავლო დანაკარგის შემცირებას, რისთვისაც მოსწავლეს გამოკვეთილი საჭიროების შესაბამისად სთავაზობდა დამატებით მეცადინეობას როგორც სასკოლო სივრცეში, ასევე დისტანციურ რეჟიმში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგი ამ შემთხვევაშიც აქტიურად იყო ჩართული მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების შემუშავებაში, რომელიც დახმარებას გაუწევდა მათ სასწავლო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვაში მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიურების შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • ინკლუზიური განათლების პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა; • ფსიქოლოგის ოქმები; • მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; • ინტერვიურება მოსწავლეებთან; • ინტერვიურება მშობლებთან; • ინტერვიურება ფსიქოლოგთან, მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების სისტემა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების სისტემის დებულება, რომელიც დამკტიცებულია შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის დირექტორის 2021 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებით N2-93§3, განსაზღვრავს მოსწავლის შეფასების მიზნებს, პრინციპებსა და ამოცანებს, შეფასების ტიპებს, აკადემიური მიღწევის დონეებსა და შეფასების სისტემას, მასში აღწერილია შეფასების სტრატეგიები, ნიშნების გამოანგარიშების წესი, გამოცდის ტიპები, კლასისა და საფეხურის დაძლევის სისტემა. სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის შეფასებებს. I-IV კლასებში სემესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს და V კლასში პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლები წერენ მოსწავლის მოკლე წერილობით შეფასებას, ხოლო კლასის დამრიგებელი საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წერს მოკლე, შემაჯამებელ წერილობით შეფასებას, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს გასაუმჯობესებელ მხარეს. მშობლებთან ინტერვიურების დროს დადგინდა, რომ მშობლები ინტენსიურად იღებენ როგორც დამრიგებლისგან, ასევე საგნის მასწავლებლებისგან მიმდინარე და ასევე სემესტრული/წლიური განმავითარებელი ტიპის შეფასებებს. მოსწავლე ფასდება 10 ქულიანი სიტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა არის 10; სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.“ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო შემაჯამებელი /კომპლექსური დავალებების ნიმუშები. შემაჯამებელი დავალების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საერთო მინიმალურ რაოდენობას გარკვეულ საგნებში სკოლაში პირისპირ სწავლების დროს სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, VII-XI კლასებში ემატება სემესტრში თითო დიაგნოსტიკური ტესტირება ორ საგანში, რომელიც ტარდება პირველი და მეორე სემესტრის ბოლოს(მე-7კლ- ინგლისური, ბიოლოგია; მე-8 კლ-რუსული, გეოგრაფია; მე-9 კლ-გერმანული, ქიმია; მე-10 კლ-ქიმია, ისტორია; მე-11 კლ-ქართული, მათემატიკა). დიაგნოსტიკური ტესტირების შეფასება განმსაზღვრელი შეფასებაა და გაიწერება შეფასების შემაჯამებელ კომპონენტში. <u>დირექციასთან ინტერვიუერებისას დადგინდა, რომ სკოლაში პანდემიის პერიოდში დიაგნოსტიკური წერები არ ჩატარებულა.</u> დაწესებულებამ წარმოადგინა წინა წლების დიაგნოსტიკური წერების ნიმუშები. დამატებით სავალდებულო საგნებში (რელიგია 1-7კლ, მეტყველების კულტურა 1-4კლ, ჭადრაკი 2-5კლ) მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. მოსწავლის შეფასების წესის მიხედვით შეფასების სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს. განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა სემესტრების მიხედვით და ჩაწერილია თითოეული კლასის საათობრივ ბადეში მე-7, მე-8, მე-9 კლასებისთვის შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა ემთხვევა სასწავლო თემების რაოდენობას. სკოლის სასწავლო გეგმის და მოსწავლის შეფასების წესის მიხედვით გაწერილია შემაჯამებელი დავალებების ჩატარებისა და გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესები და პირობები. მოსწავლეებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს აღნიშნული წესების არსებობა. მათთვის წინასწარ ცნობილია შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც ფასდება შემაჯამებელი დავალებები. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეების მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები. წარმოდგენილი მასალების გაცნობის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ მრავალფეროვან შემაჯამებელ დავალებებს, მათ შორის კომპლექსურს მაგ: გერმანულ ენაში, ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ამ ეტაპზე არ არის ჩართული ახალი სკოლის მოდელში, პედაგოგები მაინც ცდილობენ პრაქტიკაში დანერგონ კომპლექსური დავალებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულებამ წარმოადგინა კათედრების მიხედვით შეფასების რუბრიკები. სასკოლო გეგმით განსაზღვრულია კლასისა და საფეხურის დაძლევის ბარიერები, აგრეთვე სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულების გაანგარიშების წესები. 2021-2022 სასწავლო წელს წლიური გამოცდა არ არის დაგეგმილი. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდების, სკოლის გამოსაშვები გამოცდის ჩატარების წესები და პირობები. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლის გამოსაშვები გამოცდა რეალურად არ ტარდება და ეს ტექნიკური შეცდომა იყო. აღნიშნული გამოცდა არ არის განსაზღვრული მოსწავლის შეფასების წესის დებულების მიხედვით. <u>სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით კლასის დაძლევის ბარიერს წარმოადგენს 5.0 ქულა, რაც გასხვავდება მოსწავლის შეფასების წესის დებულებით განსაზღვრული ბარიერისგან - 5.1.</u> დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს მხოლოდ ტექნიკური შეცდომა იყო. ამასთან დაკავშირებით ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია მოიყვანოს შესაბამისობაში აღნიშნული საკითხი ორივე დოკუმენტში. <u>ექსპერტთა ვიზიტამდე წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების დებულება განხილულია პედსაბჭოზე 15.10.2021 ოქმი N2, დირექტორის მიერ დამტკიცებულია 21.10.2021 N 2-93&3 ბრძანებით, ხოლო არგუმენტირებულ პოზიციის სახით სკოლამ წარმოადგინა დაკორექტირებული დებულება, რომელიც დირექტორის მიერ დამტკიცებულია 15.10. 2021 წ. შესაბამისად დოკუმენტი კვლავ ტექნიკური უზუსტობით არის მოწოდებული. თუმცა კლასის დაძლევის ბარიერი შესაბამისობაშია სასკოლო სასწავლო გეგმაში დასახელებულ ნიშნულთან.</u> პედაგოგებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ შეფასების კრიტერიუმები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • მოსწავლის შეფასების წესის დებულება; • სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით; • შემაჯამებელი დავალებების ანალიზები; • შემაჯამებელი/ კომპლექსური დავალებების ნიმუშები; • მოსწავლის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები; • გასაუბრება მოსწავლეებთან; • გასაუბრება მშობლებთან; • ინტერვიურება მასწავლებელთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას შინაგანაწესის მიხედვით მუხლი 22. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომამდგენლის მიღების საათებია ყოველ პარასკევს 13:00 საათიდან 17:00 საათამდე (წინასწარ დაბარებული პირების გარდა), ნებისმიერ საკითხზე დირექციასთან ვიზიტი დასაშვებია ყოველდღე (ორშაბათი-პარასკევი) 15:00 საათიდან 17:00 საათამდე), ხოლო სსსმ მოსწავლის მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები საჭიროებისამებრ დაიშვებიან სასწავლო პროცესის განმავლობაში ნებისმიერ დროს. სასწავლო წლის დასაწყისშივე მოსწავლე და მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი დამრიგებლისგან ინფორმირებულია მათი უფლებებისა და მოვალეობების (შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი) შესახებ. სასწავლო წლის განმავლობაში მშობელთა კრება ტარდება ოთხჯერ, თუმცაღა დასაშვებია რიგგარეშე მშობელთა კრებების მოწვევა. კლასის დამრიგებელი თვეში ერთხელ მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ ინფორმაციას აგროვებს და აწვდის მშობლებს სხვადასხვა ფორმით: ➢ სკოლაში დაბარება; ➢ Sms შეტყობინება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	➢ სატელეფონო პირდაპირი შეტყობინება; ➢ სკოლის ფეისბუქის დახურული ჯგუფები კლასების მიხედვით; ➢ ელექტრონული ფოსტით შეტყობინება; მშობლის ინფორმირების მიზნით სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი (EduPage), რომლის საშუალებითაც მშობელს ნებისმიერ დროს შეუძლია გაეცნოს შვილის აკადემიურ მოსწრებას, გაცდენებს, მიცემულ საშინაო დავალებებს, დამატებითი კითხვების შემთხვევაში ჰქონდეს დამრიგებელთან/კონკრეტულ მასწავლებელთან კომუნიკაცია. ინტერვიურებით გაირკვა, რომ მშობლებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ ღია გაკვეთილებს, რაც შესაძლებლობას აძლევს მათ ნახონ მოსწავლეების მიღწევები. დამრიგებლისგან მუდმივად არიან ინფორმირებული სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შესახებ. პანდემიის პერიოდში მშობლებს ჰქონდათ შესაძლებლობა დასწრებოდნენ ონლაინ შეხვედრებსაც და მუდმივად ყოფილიყვნენ ჩართული სასწავლო პროცესში მიმდინარე მოვლენებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • სასკოლო სასწავლო გეგმა; • დამრიგებლის საქმიანობის დებულება; • სოციალური ქსელი; • სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება; • EduPage -თან გაფორმებული ხელშეკრულება; • მშობლებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები აღწერილია სკოლის ხარისხის მართვის სამსახურის დებულებაში. სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, გაკვეთილზე ურთიერთდასწრება. რისთვისაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამოიყენება გაკვეთილის შეფასების რუბრიკები, კითხვარები მასწავლებლის რეფლექსიისთვის. სწავლა/სწავლების ხარისხის მონიტორინგისა და გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება მშობელთა, მოსწავლეთა, პედაგოგთა გამოკითხვა შესაბამისი კითხვარების მეშვეობით და გაკვეთილების შეფასების ანალიზი. უკუკავშირი ხორციელდება ინდივიდუალურად ან საერთო შეხვედრაზე. სასწავლო გეგმის შეფასებისთვის სკოლა მოქმედებს სწავლების ხარისხის დებულების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს შიდა მონაცემთა ანალიზს. შიდა შეფასებისას დგინდება შეესაბამება თუ არა მოსწავლის ცოდნის შეფასების სისტემა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შეფასების მოდელს, რამდენად ეფექტიანად იყენებს მასწავლებელი ესგ-ითა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კომპონენტებს. შიდა შეფასებისთვის მონიტორინგის ფორმებია: გაკვეთილზე დასწრება; შემაჯამებელი დავალებების ანალიზი; დიაგნოსტიკური წერების შედეგები, რომლის შედეგები ანალიზისთვის (მოსწავლეთა აკადემიური შედეგების, ინდ. საჭიროებების დადგენა; სწავლების ხარისხის შეფასება) გადაეცემა საგნობრივ კათედრებს; სემესტრული და წლიური შედეგების ანალიზი; გამოცდების შედეგების ანალიზი (პანდემიის გამო 2021-22 სასწავლო წელს გამოცდები არ იქნა დანიშნული). სკოლის რესურსების სრულყოფილად წარმოჩენის, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრის მიზნით, სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფი უზრუნველყოფს ყოველწლიურად თვითშეფასების განხორციელებას, SWOT ანალიზს. ამასთანავე განსაზღვრავს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პრიორიტეტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • ხარისხის მართვის სამსახურის დებულება; • კათედრის სხდომის ოქმები; • სკოლის სტრატეგიული განვითარების SWOT ანალიზი; • ხარისხის სამსახურის ანგარიში; • მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ბარათები; • მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	1.1. სასკოლო სასწავლო გეგმა, საათობრივი ბადე და ცხრილი მოვიდეს ერთამენთთან შესაბამისობაში. 1.1.სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება მოხდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 21 პუნქტი 6-ის შესაბამისად ,,სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა დამტკიცდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე“. 1.3. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სსსმ მოსწავლის განმარტება შესაბამისობაში მოვიდეს ესგ 41-ე მუხლის მე-2 პუნქტთან.
რჩევები:	1.1.სასურველია სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს არჩევითი საგნების მრავალფეროვნება.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	**☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა ,,იბერია“ (ს/კ 211358449) მდებარეობს ქალაქ თბილისში. სკოლის სარგებლობაშია ორი სასწავლო კორპუსი, რომლებსაც აქვთ საერთო ეზო. საჯარო რეესტრის ამონაწერით, სკოლის სასწავლო კორპუსები განთავსებულია შემდეგ მისამართებზე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	1. ქალაქი თბილისი, მირიან მეფის №16, საკადასტრო კოდი- 01.72.14.035.542 (№1 შენობა) 2. ქალაქი თბილისი, მირიან მეფის №16-ა, საკადასტრო კოდი- 01.72.14.035.543 (№2 შენობა) №1 შენობის საერთო ფართია-1360.05 კვ.მ (მათ შორის I სართული 343.89 კვ.მ, II სართული 423.90 კვ.მ III სართული 287.17 კვ.მ, მანსარდა 305.09 კვ.მ.) №2 შენობის საერთო ფართია-488.08 კვ.მ (მათ შორის სარდაფი 84.28 კვ.მ, I სართ 184.27 კვ.მ, II სართ 120.84 კვ.მ, მანსარდა 98.69 კვ.მ). სკოლასა და შენობის მფლობელს შპს ,,ბუნება პრინტს" შორის გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება 2028 წლის 30 ივნისის ჩათვლით. იჯარის ხელშეკრულებაში სკოლის №1 და №2 შენობების მისამართად მითითებულია, სოფელი დიღომი, თუმცა აღნიშნული შენობების მიწის საკადასტრო კოდები, შენობების საერთო ფართი, აგრეთვე სართულების მიხედვით განაწილებული ფართები შესაბამისობაშია საჯარო რეესტრით განსაზღვრულ მონაცემებთან. №1 სასწავლო კორპუსში განთავსებულია: საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, ადმინისტრაციის სამუშაო კაბინეტები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ისტ-ის კაბინეტი, ფსიქოლოგის ოთახი, სპორტული დარბაზი, სასადილო და სველი წერტილები. №2 სასწავლო კორპუსში არის ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, მუსიკის ოთახი და მეორე სართულზე საკლასო ოთახები. შენობას აქვს სარდაფი, სადაც დასაწყობებულია სასწავლო ინვენტარი, მათ შორის მოსწავლის მერხები და სკამები. ვიზიტის დროს №2 შენობის პირველ სართულზე (დაახლოებით 84.00 კვ.მ შენობის აზომვითი ნახაზის მიხედვით) ფუნქციონირებდა საბავშვო ბაღი, აღნიშნული გარემოება არც ერთ დოკუმენტში არ არის ასახული. ბაღი და სკოლა სარგებლობს საერთო შესასვლელით, ბაღის სივრცე განთავსებულია დერეფნის მარცხენა მხარეს და საერთო ფართიდან გამოყოფილია შესასვლელი კარით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის დირექტორის განმარტებით, №2 სასწავლო კორპუსის საკლასო ოთახებში საგაკვეთილო პროცესი არ მიმდინარეობს (გარდა მუსიკის კაბინეტისა, ამავე შენობაშია ბიბლიოთეკა და სამედიცინო კაბინეტი). სკოლაში, პანდემიის გამო, მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა და სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება, თავისუფალ ფართში ფუნქციონირება დაეწყო სკოლასთან არსებულ საბავშვო ბაღს. სკოლის ეზოში არის ღია სპორტული მედანი. **<u>სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, შენობის აზომვით ნახაზზე ჩანს სკოლისა და ბაღის ფართების გამიჯვნა, თუმცა აღნიშნული ფაქტი არ არის ასახული საჯარო რეესტრის ამონაწერში და არც იჯარის ხელშეკრულებაში.</u>**
ფაქტობრივი მისამართი	1. ქალაქი თბილისი, მირიან მეფის № 16 2. ქალაქი თბილისი, მირიან მეფის №16-ა,
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	№1 შენობა 01.72.14.035.542 №2 შენობა 01.72.14.035.543
კვ.მ.	№1 შენობის საერთო ფართია- 1360.05 კვ.მ №2 შენობის საერთო ფართია-488.08 კვ.მ
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერები საჯარო რეესტრიდან: 1. განცხადების რეგისტრაცია: N 882022107789 - 15/02/2022 14:08:40 მომზადების თარიღი 16/02/2022 17:51:48; 2. განცხადების რეგისტრაცია: N 882022107807 - 15/02/2022 14:11:07 მომზადების თარიღი 16/02/2022 19:46:21; • შენობის შიდა აზომვითი ნახაზი; • იჯარის ხელშეკრულება 14/02/2022; • აზომვითი ნახაზი (ბაღისა და სკოლის ფართის გამიჯვნა);
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ორივე სასწავლო კორპუსში 19 საკლასო ოთახია, აქედან №1 სასწავლო კორპუსშია: 16 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, ისტ-ის კაბინეტი და ფსიქოლოგის ოთახი. №2 სასწავლო კორპუსში სამი საკლასო ოთახი, მუსიკის კაბინეტი, სამედიცინო კაბინეტი და ბიბლიოთეკაა განთავსებული. საკლასო ოთახები აღჭურვილია 235 ინდივიდუალური მერხით და სკამით, მასწავლებლის მაგიდა/სკამით, სასკოლო დაფებით, კარადებით. დაწესებულებაში ჩატარებული (2021 წლის 14-15 დეკემბერი) ინვენტარიზაციის შედეგად, ინვენტარიზაციის ოქმის და ინვენტარისზაციის აღრიცხვის დანართის მიხედვით, სკოლის მფლობელობაშია შემდეგი სასკოლო ინვენტარი: ინდივიდუალური მერხი-269ცალი, სკამი-287ცალი, დაფა-26ცალი, პროექტორი-1ცალი, პრინტერი-2ცალი და 19 კომპიუტერი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • დირექტორის ბრძანება №2-103 14.12.2021 ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით დროებითი კომისიის შექმნის შესახებ; • ინვენტარიზაცის ჩატარების ოქმი (14-15 დეკემბერი 2021წელი); • ინვენტარიზაციის აღრიცხვის დანართი; • საქონლის ჩამოწერის აქტები(11.12.2020 და 20.12.2021); • სასაქონლო ზედნადები (04/04/2022-1ლეპტოპი და კომპიუტერის ნაწილები); • სასაქონლო ზედნადები (31/03/2022-პროექტორი);
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	№1 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არის სპორტული დარბაზი (57.00 მ.კვ), სადაც განთავსებულია ორი შვედური კედელი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	ტანვარჯიშის სკამი. სკოლის ეზოში მოწყობილია ხელოვნურსაფარიანი ღია სპორტული მოედანი კალათბურთისა და ფეხბურთისათვის. სპორტული მოედანი საჭიროებს მოწესრიგებას. კერძოდ, შესაცვლელია მოედნის ხელოვნური საფარი და შესაკეთებელია კალათბურთის ფარები. **<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა სპორტული მოედნისთვის 250კვ.მ ხელოვნური საფარის ჩუქების მიღება-ჩაბარების აქტი და ფოტო არსებული მასალის არსებობაზე, თუმცა საბოლოო სახით მოწესრიგებული სპორტული მოედნის ფოტო ან ვიდეო მასალა არ არის წარმოდგენილი.</u>**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ინვენტარიზაციის აღრიცხვის დანართი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სადაც კარადებში განთავსებულია ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობის კომპლექტი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არის სველი წერტილი, აქვს ფანჯარა, რაც განიავების საშუალებას იძლევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ფიზიკის პედაგოგთან გასაუბრება • აუდიტორული ფირმა ,,ს.ბ. ფინანსსერვისი“ 01/10/2014 წლის აუდიტორული დასკვნა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. ელექტრო ენერგიის, გაზის და წყლის მიწოდების უწყვეტობას უზრუნველყოფს პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კომუნალური გადახდის ქვითრები. დაწესებულებაში სულ 7 საპირფარეშოა. აქედან №1 შენობაშია-6, მათ შორის ერთი ადაპტირებული. პირველ სართულზე არსებული ორი საპირფარეშო ორ-ორ განყოფილებიანია. ყველა საპირფარეშოში არის ონკანი და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სველი წერტილები განკუთვნილია ბიჭებისა და გოგონებისთვის. სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები სკოლას დასაწყობებული აქვს ცალკე ოთახში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კომუნალური გადასახადის გადახდის ქვითრები; • ხელშეკრულება №18 -შპს ,, სადეზინფექციო პროფილაქტიკური მომსახურეობა“ 19/10/2021;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო ბიბლიოთეკა განთავსებულია №2 სასწავლო კორპუსის მანსარდაში 52.24კვ.მ ფართზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია წიგნების თაროებით, მაგიდებით, სკამებით, ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერით. ბიბლიოთეკაში სახანძრო უსაფრთხოებისთვის განთავსებულია ცეცხლმაქრი, შესაბამისი ინსტრუქტაჟით და სახანძრო დაცვის ტელეფონის ნომრებით. ბიბლიოთეკაში თაროებზე წიგნები განთავსებულია თემატურად, ხოლო გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანეოლოები კლასების მიხედვით. მოქმედებს ანბანურ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სისტემური კატალოგი. გამოკრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ნაწარმოებების ჩამონათვალი ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო კლასიფიკაციისა და კატალოგიზაციის წესით. აღრიცხულია ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში და ელექტრონულად ექსელის ფაილში. სულ აღრიცხულია 1316 ერთეული წიგნი. სკოლა სარგებლობს პერიოდული გამოცემით ,,ახალი განათლება". საშტატო განრიგის მიხედვით სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. შემუშავებულია ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქცია. ბიბლიოთეკარმა და სკოლის ორგანიზატორმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკას აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების დასაგეგმად და განსახორციელებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი; • ბიბლიოთეკარის თანამდებობრივი ინსტრუქცია (ბრ 2-102, 28/11/2021); • საშტატო განრიგი; • საინვენტარო აღრიცხვის დანართი; • გასაუბრება სკოლის ბიბლიოთეკართან და ორგანიზატორთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის. შენობის შესასვლელი და შიდა კიბეები აღჭურვილია პანდუსებით. სსსმ პირისთვის განსაზღვრულია სველი წერტილი №1 შენობის მეორე სართულზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში ფუნქციონიებს კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია ინტერნეტქსელში ჩართული 8 კომპიუტერი. კომპიუტერები ასევე განთავსებულია დირექტორის კაბინეტში, სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკასა და ოფისმენეჯერის ოთახში. სკოლის მფლობელობაშია 19 კომპიუტერი, მათ შორის 5 ლეპტოპი. სკოლას აქვს ქსეროსის 2 აპარატი და ერთი პროექტორი. დაწესებულების ვებგვერდია http://www.iberiaschool.ge/, სადაც განთავსებულია სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია: სკოლის მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელ.ფოსტის მისამართი. ასევე ვებგვერდს აქვს შესაძლებლობა წერილობით მიმართოს ნებისმიერმა პირმა. სკოლის ვებგვერდზე ინფორმაცია განთავსებულია შემდეგი ბლოკების სახით: მთავარი, სკოლის შესახებ, სწავლა, წრეები, გალერია, სიახლეები და კონტაქტი. ვებგვერდზე განთავსებული მასალები არ არის საკმარისი სკოლაში მიმდინარე პროცესების წარმოსადგენად. არ არის მისია და სკოლის შინაგანაწესი. ასევე სკოლის სტრუქტურა, ხედვა და სტრატეგიული მიზნები. მწირია ინფორმაცია სკოლის სიახლეებზე და განხორციელებულ ღონისძიებებზე. სკოლას ინტერნეტი მიეწოდება სს ,,სილქნეტთან'' გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. წარმოდგენილია ვებგვერდის დამზადების ხელშეკრულება და შპს ,,პროსერვ.ჯი'' გადახდის ქვითრები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლია ვებგვერდი http://www.iberiaschool.ge/ • ვიზუალური დათვალიერება; • შპს ,, პროსერვ.ჯი'' ჰოსთინგის გადახდის ქვითრები; • ხელშეკრულება, სკოლის ვებგვერდის დამზადებაზე ფ/პ გვანცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ტალახაძე (27/10/2021); • სს ,,სილქნეტთან '' 16/03/2017;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ხანძარსწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, საევაკუაციო გეგმები, შენობის საევაკუაციო გზებზე მოწყობილია ავარიული განათებები და „საევაკუაციო გზის“ მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები. საევაკუაციო გასასვლელებთან გამოკრულია ერთიანი სატელეფონო ნომერი „112“ და ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქციები. შენობას აქვს ერთი ძირითადი და ორი სათადარიგო გასასვლელი. სკოლის ცენტრალური შესასვლელ-გასასვლელიდან შესაძლებელია სახანძრო მანქანით მანევრირება. საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მასზე სწრაფი რეაგირებისთვის შემნილია საგანგებო შტაბი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ და დეტალურადაა გაწერილი შტაბის შემადგენლობის ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის ხანძარსაწინაღმდეგო ჯგუფის უფროსის ამოცანები. სახანძრო უსაფრთხოების კუთხით, სკოლაში ჩატარდა პრაქტიკული მეცადინეობა ცეცხლმაქრების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და დასტურდება სწავლება/ტრეინინგის ჩატარებისას, დამსწრეთა აღრიცხვის ფურცლით. შეხვედრის თემა/სასწავლო მოდული იყო საგანგებო სიტუაციები და სახანძრო უსაფრთხოება. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მიზნით, შენობა აღჭურვილია 11 ცეცხლმაქრით, რომლებიც განთავსებულია საევაკუაციო გეგმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განსაზღვრულ ადგილებში, სადაც ასევე გამოკრულია ცეცხლმაქრის მოხმარების ინსტრუქცია. ცეცხლმაქრების გადამუხტვა ხდება პერიოდულად, საჭიროების მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სწავლება/ ტრეინინგის ჩატარებისას, დამსწრეთა აღრიცხვის ფურცელი; • საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; • მიღება-ჩაბარების აქტი-საევაკუაციო მანათობელი, მანიშნებლის შეძენა-მონტაჟზე 04.02.2020; • მომსახურეობის ხელშეკრულება, ცეცხლმაქრების გადამუხტვა და სარქველების შეცვლაზე. (13/01/2022);
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ორივე სასწავლო კორპუსის დერეფანში, თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები, სულ 7 ცალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში გაწერილია საგანგებო სიტუაციებში პირველადი სამედიცინო დახმარების გასატარებელი ღონისძიებები. შემუშავებულია პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა. სკოლაში ჩატარდა პირველადი სამედიცინო დახმარების სწავლება. მე-2 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე მდებარეობს სამედიცინო კაბინეტი. (16. 27 კვ.მ), სადაც განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: პაციენტის გასასინჯი ტახტი, სამედიცინო მაგიდა, კარადა მედიკამენტებითვის და ინსტრუმენტებისთვის, წნევის აპარატი, მაცივარი და სხვა საჭირო ინვენტარი. სამედიცინო კაბინეტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღჭურვილია სველი წერტილით. სკოლას ჰყავს ექთანი. შემუშავებულია ექთნის თანამდებობრივი ინსტრუქცია. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა ჩაატარა სწავლება, უფლებამოსილი პირებისთვის ფუნქცია-მოვალეობების გასაცნობად, მათ შორის სკოლის ექთანთანაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ექთნის თანამდებობრივი ინსტრუქია; • სწავლა/ტრეინინგის ჩატარების აღრიცხვის ფურცელი-სასწავლო მოდული-უფლებამოსილი პირებისთვის უფლება-მოვალეობების გაცნობა; • ინვენტარიზაციის აღრიცხვის დანართი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავეული აქვს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესები, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად. წესი შეთანხმებულია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან(14/02/2022). შემუშავებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების კითხვარები. შეფასებას ახორციელებენ მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ანონიმურობის სრული დაცვით, წერილობით ან ელექტრონული ფორმით. ჩატარდა ტრეინინგი თემაზე - „სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერია“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კითხვარები; • სწავლა/ტრეინინგის ჩატარების აღრიცხვის ფურცელი-სასწავლო მოდული-სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება ხდება ვიდეოკამერებით, რომელიც დამონტაჟებულია "აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება ექპლუატაციის წესის მიხედვით" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს N1143 ბრძანებით შესაბამისად. სკოლის ეზოში განთავსებულია 4 ვიდეო-კამერა, ხოლო გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად დამონტაჟებულია 2 ვიდეო–კამერა. ასევე, სკოლის დერეფნებში, განაწილებულია უსაფრთხოების კამერები (სულ 5 კამერა), რომლებიც სრულად ვერ უზრუნველყოფენ შენობის შიდა პერიმეტრის კონტროლს. კერძოდ, გამოიკვეთა შენობის ორი ადგილი №1 შენობაში მე-3 სართულის კიბის პერიმეტრი და № 2 შენობაში ბიბლიოთეკაში ასასვლელის კიბის ნაწილი, რომლებიც ვიდეო-სათვალთვალო კამერების ხედვის სივრცეში ვერ ხვდებიან. სკოლაში შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი ხორციელდება 11 ვიდეო-კამერით. სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების 38-ე მუხლით განსაზღვრულია სკოლის ვიდეო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თვალთვალის სისტემით აღჭურვის წესი, რომლის თანახმად დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის განხორციელება ან/და აუდიო ჩაწერა სკოლის საპირფარეშოში, საკლასო ოთახებში, გამოსაცვლელ ოთახებში, ექიმი/ექთნის კაბინეტსა და თანამშრომელთათვის განკუთვნილ სამუშაო სივრცეებში. ვიდეოსათვალთვალო სისტემის ყოველდღიურ გამოყენებას და ადმინისტრირებას უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირი. ვიდეოჩანაწერზე წვდომა გააჩნია სკოლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეებს, IT მენეჯერს და უფლებამოსილი პირს. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება ხდება მხოლოდ სკოლაში უსაფრთხო გარემოს დაცვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის მიზნით და მკაცრად კონტროლდება მისი კონფიდენციალობა. სკოლაში მიმდინარე ვიდეო მეთვალყურეობასთან დაკავშირებით, სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნების მეშვეობით ინფორმირებულია ყველა სუბიექტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კამერების მიღება-ჩაბარების აქტი -24/01/2022; • ინტერვიურება სკოლის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან; • ინვენტარიზაციის აღრიცხვის დანართი; • შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა ,,იბერიას“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, განსაზღვრულია დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის განხორციელებას: სკოლის შინაგანაწესი, სკოლის წესდება, თანამდებობრივი ინსტრუქციები, საგნობრივი კათედრების დებულება, პედსაბჭოს დადგენილებები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის (შემდგომში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	„ხარისხის ჯგუფი'') გადაწყვეტილებები; დამრიგებლის საქმიანობის დებულება. სკოლის წესდება მოიცავს: ზოგადი დებულებებს; სკოლის იურიდიულ სტატუსს, სკოლის საქმიანობის არსს და მიზნებს, სკოლის საწესდებო ფონდს, პასუხისმგებლობას, პარტნიორის უფლებებს და ვალდებულებებს, სკოლის ქონებას და სახსრებს, სკოლის ორგანოებს, პარტნიორთა კრებას, სკოლის დირექტორს, სკოლის საქმიანობის რევიზიას, მონაწილეობას ორგანიზაციებში, სკოლის საქმიანობის შეწყვეტას, სხვა დებულებებს. სკოლის წესდება, რომელიც თან ერთვის საავტორიზაციო განაცხადს, რეგისტრირებულია ქ. თბილისის საბურთალოს რ-ნის სასამართლოს მიერ 1995წლის 20 ნოემბერს, რეგისტრაციის ნომერი-5-ა/ 4-198. წარმოდგენილი წესდებით სკოლის სახელია ,,დიდი დიღმის დღის პანსიონი", აღნიშნულთან დაკავშირებით ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის 2006 წლის 24 თებერვლის ბრძანება №3383/006-5-ა/4-198 შპს ,,დიდი დიღმის დღის პანსიონი''-ს სამეწარმეო რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე დაწესებულებას ნაცვლად ,,დიდი დიღმის დღის პანსიონი"-სა ეწოდოს შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა ,,იბერია". <u>წესდებით განსაზღვრულია სკოლის უმაღლესი ორგანოს-პარტნიორთა კრების კომპეტენციები: სკოლის საპროცედურო წესებისა და სხვა შიდა დოკუმენტების დამტკიცება, სკოლის საშტატო განრიგისა და შრომის შინაგანაწესის დამტკიცება, სკოლის გეგმებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცება, თუმცა საავტორიზაციო განაცხადზე თანდართული ყველა დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ.</u> დირექტორის განმარტებით, რომელიც ასევე სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელია, იგეგმება არსებული წესდების შეცვლა და მოხდება პარტნიორთა კრების გარკვეული უფლებების დელეგირება სკოლის დირექტორზე, რაც გაამარტივებს სამუშაო პროცესს. წარმოდგენილი შინაგანაწესი, განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე (ოქმი №2) 2021 წლის 15 ოქტომბერს და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ (ბრ. 2-97 5.11.2021).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შინაგანაწესი მოიცავს: ზოგად ნაწილს; სკოლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმას, თანამშრომელთა მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის წესებს, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზებას, მოსწავლეთა მიღების, მათი შეფასების, კლასიდან კლასში გადაყვანის და საგანმანათლებლო სერტიფიკატების გაცემის წესს, სასწავლო პროცესში მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესის მოთხოვნათა დარღვევისათვის პასუხისგების ფორმებს, დისციპლინალური სახდელების უფლებამოსილ პირებს და სტრუქტურულ ერთეულებს, წახალისებას წარმატებისთვის, სკოლის შიდა კონტროლის ფორმებს, შინაგანაწესში ცვლილების შეტანის წესს, პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციებისთვის სამოქმედო გეგმას და შინგანაწესის თანხმლები დოკუმენტების ჩამონათვალს. შინაგანაწესის შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები: შინაგანაწესის 2.4 მუხლი--განსაზღვრულია სამუშაოზე მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები, მათ შორის <u>არ არის ცნობა-საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების კანონის“ 33-1 მუხლით განსაზღვრული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“</u> შინაგანაწესის მუხლი 3.1-სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 1-6 კლასებისთვის 2018-2024 წლების ესგ-ს მიხედვით, ხოლო დანარჩენ კლასებში ესგ-ს 2011-2016წ. რედაქციით. - <u>დაწყებით და საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება 2018-2024 ესგ-ს საფუძველზე.</u> შინაგანაწესის მუხლი 4.1-სკოლის მოსწავლეთა დასაშვებ კონტიგენტს, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით განსაზღვრავს სკოლის დირექცია. <u>მოსწავლეთა დასაშვებ კონტიგენტს, ავტორიზაციის დებულების თანახმად, განსაზღვრავს ავტორიზაციის საბჭო.</u> შინაგანაწესის მუხლი 4.8.15 - მოსწავლე, რომელსაც სასწავლო წლის განმავლობაში დაუგროვდება წლის განმავლობაში 1/3-ზე მეტი (172-დან) არასაპატიო გაცდენილი სასწავლო დღეები. რჩება იმავე კლასში კურსის განმეორების მიზნით.-<u>ესგ-ს მუხლი 38 გაცდენები- თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.</u> შინაგანაწესის მუხლი 4.9.10. - სკოლას უფლება აქვს მოსწავლეს შეუჩეროს სტატუსი, თუკი მას შეუსრულდა სასწავლო დღეებიდან 90 საათი გაცდენა. - <u>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 11/ნ ბრძანება (8.04.2021) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე- მოსწავლეს სტატუსი უჩერდება, თუ 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში/არ მონაწილეობს დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში და არ იღებს შეფასებას;</u>** შინაგანაწესის მუხლი 5.5 - სკოლაში მოსწავლის ან მისი პირადი ნივთების ჩხრეკა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ამ პროცედურის უგულებელყოფა წარმოადგენს რისკს სხვა მოსწვლეებისა და სკოლის პერსონალისთვის.- **<u>სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით დასაშვებია უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება მეტალოდეტექტორით („ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანება).</u>** შინაგანაწესის მუხლი 6.1 მოსწავლეს, ქცევის კოდექსის დარღვევისთვის, დისციპლინარული გადაცდომისთვის და აკადემიური ჩამორჩენისთვის შეიძლება დაედოს დისციპლინარული სახდელი. **<u>დისციპლინარული სახდელის დადება არ ხდება აკადემიური ჩამორჩენის დროს.</u>** შინაგანაწესის მუხლი 6.2- მოსწავლის დისციპლინალური სახდელებია: <u>6.2.1 მშობელთან გასაუბრება და თათბირი 6.2.2 გასაუბრება დირექტორთან.</u> მიგნებების გაცნობისას სკოლამ განაცხადა, რომ ცენტრში გადაგზავნილი იყო ძველი შინაგანაწესი. ვიზიტის მიმდინარეობისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმოგვიდგინეს განსხვავებული შინაარსის შინაგანაწესი, სადაც აღნიშნული ჩანაწერები აღარ იყო. წარმოდგენილი შინაგანაწესის თავფურცელის მიხედვით, შინაგანაწესი განხილული და შეთანხმებულია პარტნიორთა კრების 2021 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი N2) და შეთანხმებულია პედაგოგიური საბჭოს 2021 წლის 16 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი N2). შინაგანაწესით განსაზღვრულია: ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი. წარმოდგენილი შინაგანაწესებიდან ვერ დგინდება რეალურად რომელი დოკუმენტით რეგულირდება სკოლაში სასწავლო პროცესი, რადგან ორივე დოკუმენტი დამტკიცებულია ერთი და იმავე რიცხვით (15.10.2021), თუმცა სხვადასხვა სუბიექტის მიერ. ასევე არც ერთი მათგანი არ არის განთავსებული სკოლის ვებგვერდზე, რაც საშუალებას მოგვცემდა, ერთ-ერთი მათგანი ჩაგვეთვალა უპირატესად. **<u>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შინაგანაწესის შესწორებული ვარიანტი, ასევე შინაგანაწესის დამტკიცების დოკუმენტი, სკოლის დირექტორის ბრძანება (2-45;24/06/2022). სკოლის წესდებით, შინაგანაწესს ამტკიცებს პარტნიორთა კრება, ასევე ბრძანების საფუძველში მითითებულ ჩანაწერს ,, წესდების თავი მე-2 მუხლი მე-5-ის პირველი პუნქტის ,,მ" ქვეპუნტი"- საერთოდ არ მოიცავს სკოლის მიერ მოწოდებული წესდება.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • სკოლის წესდება; • კათედრის დებულება; • თანამდებობრივი ინსტრუქციები; • პედსაბჭოს ოქმი N2 (2021 წლის 16 ოქტომბრის სხდომაზე) • პარტნიორთა კრების ოქმი N (22021 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე) • დირექტორი ბრძანება (2-45;24/06/2022), შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები. სკოლის სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს 2021-2027 წლების სტრატეგიული განვითარების ექვსწლიან გეგმას. სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია სასკოლო თემში ჩატარებული ანკეტირების შედეგების გათვალისწინებით. სტრატეგიული განვითარების გეგმა ასახავს: სკოლის გრძელვადიან მიმართულებებს და პრიორიტეტებს, პრიორიტეტების მისაღწევად დასახულ მიზნებს, მიზნების განსახორციელებლად შემუშავებულ ამოცანებს, სკოლის ღირებულებებს. სკოლის ექვსწლიანი გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიმართულებებია: **1.** სკოლის მომსახურეობის გაუმჯობესება; **2.** სკოლის ორგანიზაციული მხარის განვითარება; **3.** განათლების ხარისხის გაუმჯობესება სკოლაში; აღნიშნული სტრატეგიული მიმართულებებიდან გამომდინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განისაზღვრა გრძელვადიანი პრიორიტეტები: • სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა; • მშობელთა ჩართულობის გაძლიერება სასწავლო პროცესში; • სკოლის ახალი კულტურის ჩამოყალიბება, თანამშრომლობისა და გუნდური პასუხისმგებლობის აღებით. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის მიზნით სკოლას დასახული აქვს შემდეგი ამოცანები: ✓ სტრატეგიული გეგმის შესაბამისი ბიუჯეტის დაგეგმვა, განკარგვა და მონიტორინგი; ✓ ყოველწლიური ინვენტარიზაციის ჩატარება და შედეგების ინვენტარიზაციის ჟურნალში ასახვა; დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება, სკოლის ტექნიკური ბაზის განსაახლებლად; ✓ ბიბლიოთეკის, როგორც სასწავლო რესურსის ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში; ✓ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაზრდა. 2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით ერთი წლის მანძილზე განსახორციელებელ კონკრეტულ აქტივობებს, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს. ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულია აგრეთვე, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა სასწავლო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი მატერიალური რესურსით. კერძოდ, სკოლის ღია და დახურული სპორტული მოედნის კეთილმოწყობა, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების მოწყობა/შევსება ცდების ჩატარებისთვის აუცილებელი მასალებით, წიგნადი ფონდის შევსება, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების მოძიება მასწავლებლისათვის მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის შეძენა, სკოლის შევსება კომპიუტერებით და სხვა ტექნიკური საშუალებებით: პროექტორი, პრინტერი, ლეპტოპი და სხვა, სკოლის ვებგვერდის შექმნა, საკლასო ოთახების მოწესრიგება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სარემონტო სამუშაოების ჩატარება. ვიზუალური დათვალიერებით, სკოლამ გარკვეული დაგეგმილი აქტივობები შეასრულა. მაგალითად ახალი ვებგვერდი, შეიძინა ლეპტოპი და პროექტორი, სკოლაში დაინერგა ელექტრონული ჟურნალის წარმოება. თუმცა, შეუსრულებელი დარჩა სექტემბრის თვეში დაგეგმილი აქტივობა-ღია სპორტული მოედნის კეთილმოწყობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; • 2021-2027 წლების სტრატეგიული გეგმა; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში საქმისწარმოებას ახორციელებს ოფისმენეჯერი, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანება 2-102, 28/11/2021) საქმისმწარმოებელის (ოფისმენეჯერი) თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად. სკოლაში ხდება საერთო და საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალების, შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალების და შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალის წარმოება. დირექტორის ბრძანებები და ოფიციალური წერილი ფორმდება სატიტულო ფურცელზე. საქმისწარმოების დროს სარეგისტრაციო ჟურნალებში ნუმერაციის ათვლა იწყება ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში და მთავრდება წლის ბოლის. საქმისწარმოების ჟურნალები აკინძულია, დანომრილია, ზონარგაყრილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი; • გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი; • საქმისმწარმოებლის (ოფისმენეჯერი) თანამდებობრივი ინსტრუქცია (ბრ 2-102, 28/11/2021).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	1. №2 სასწავლო კორპუსში არსებული ბაღის ფართი გაიმიჯნოს სკოლის ფართისგან; 2. სკოლამ მოაწესრიგოს სპორტული მოედანი. შეცვალოს მოედნის ხელოვნური საფარი და შეაკეთოს კალათბურთის ფარები; 3. სკოლამ უზრუნველყოს ვებგვერდზე სკოლის სტრუქტურისა და მარეგულირებელი დოკუმენტების განთავსება, ასევე სიახლეებისა და სკოლაში განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალების განახლება.
რჩევები:	1. იჯარის ხელშეკრულებაში სკოლის ფაქტობრივი მისამართი ჩასწორდეს საჯარო რეესტრის შესაბამისად; 2. სკოლამ, მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავების დროს გაითვალისწინოს განათლების სისტემაში მოქმედი სამართლებრივი აქტები და კანონები; 3. გამოცემული ბრძანების შინაარსი და საფუძვლები შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან.
ხარვეზები:	მარეგულირებელი დოკუმენტები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი მოქმედ კანონმდებლობასთან
სტანდარტის შეფასება	☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საშტატო განრიგის მიხედვით დაწესებულებას ჰყავდა 56 თანამშრომელი. მათ შორის 35 პედაგოგი იყო. ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს წარმოადგენდა: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში, ორგანიზატორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, იურისტი, ფსიქოლოგი, ექიმი, უსაფრთხო სკოლის მენეჯერი, საინფორმაციო მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, სამნეო ნაწილი (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი), ოფისმენეჯერი (საქმისმწარმოებელი), ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, დიეტოლოგი (კვების ბლოკის მარაგების მართვის სპეციალისტი), მზარეული, 4 დამლაგებელი. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 35 პედაგოგთან და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საათობრივი ბადის სრულად დატვირთვას და სასწავლო პროცესის განხორციელებას. ყველასთან გაფორმებულია ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • eSchool-ის ბაზა; • სკოლის შინაგანაწესი; • 2021-2022 წლის საათობრივი ბადე; • საშტატო განრიგი; • სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	35
მოწვეული/მაძიებელი	0/2
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0/14 (12 მასწ.+ 2 აღმზრდელი)
უფროსი მასწავლებლი	19

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილ მასწავლებელთა პირად საქმეებში დევს დოკუმენტაცია მათი კვალიფიკაციისა და/ან მინიჭებული სტატუსების შესახებ. მათ შორის არ არის ცნობა-საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების კანონის“ 33-1 მუხლით განსაზღვრული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. ამასთან დაკავშირებით <u>არგუმენტირებული პოზიციის სახით დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა ზოგადი განათლების კანონის 33-1 მუხლით განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“.</u> აღნიშნული პირადი საქმეებისა და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების გადამოწმების მიხედვით სკოლას ჰყავს ძირითადად უფროსი მასწავლებლები, მაძიებლები და ასევე მასწავლებლები სტატუსის გარეშე: 19 უფროსი მასწავლებელი, 2 მაძიებელი მასწავლებელი, 14 სტატუსის გარეშე (მათ შორის 2 არის აღმზრდელი, 1 ჭადრაკის მასწავლებელი, 1- რელიგიის, 1-მეტყველების კულტურის, 1 - საგზაო ნიშნების და უსაფრთხოების). სკოლის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ სტატუსის არმქონე 2 მასწავლებელი დარეგისტრირებულია გამოცდაზე. ხოლო დანარჩენი არ გეგმავს საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაზე გასვლას. სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს ექსპერტებმა ითხოვეს სკოლის წარმომადგენლებისგან ამონაწერი მასწავლებლის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან ქართული ენის და ინგლისური ენის მასწავლებელთა საგნობრივ გამოცდაზე რეგისტრაციის შესახებ, რაც სკოლას არ წარმოუდგენია. თუმცა დაწესებულებამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა მხოლოდ ერთი მასწავლებლის ცნობა გამოცდაზე რეგისტრაციის შესახებ, ხოლო მეორე მასწავლებელმა მიიღო გადაწყვეტილება სკოლიდან წასვლის თაობაზე, რის გამოც უარი განაცხადა საგნის გამოცდის ჩაბარებაზე.</u> სასწავლო წლის განმავლობაში სკოლას ჰქონდა რამდენჯერმე გამოცხადებული ღია კონკურსი, მაგრამ კანდიდატი ვერ იქნა შერჩეული. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია კონკურსების ჩატარების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა პირადი საქმეები; • ხელშეკრულებები; • სასკოლო სასწავლო გეგმა. • საშტატო განრიგი; • eSchool-ის ბაზა; • სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება; • მასწავლებლის საგამოცდო ბარათი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას შინაგანაწესის მიხედვით გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები; დამტკიცებულია 2021 წლის 5 ნოემბრის ბრძანებით N2-97. შინაგანაწესის II თავი განსაზღვრავს სკოლაში თანამშრომელთა მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის წესებს. სამუშაოზე მიღების წესს; სამსახურში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას; შინაგანაწესით განსაზღვრულია ასევე სკოლის სადისციპლინო პოლიტიკა, დისციპლინარული დევნის და წახალისების ფორმები. სკოლის დირექცია პედაგოგის წარმატებული საქმიანობისათვის აწესებს წახალისების(ცხადდება ბრძანებით) შესაბამის ფორმებს: სიტყვიერი მადლობა;. ფასიანი საჩუქარი; ფულადი საჩუქარი ან პრემია(პრემია) და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დიფერენცირებული ხელფასი. ორი სასწავლო წლის განმავლობაში სასკოლო შეფასებაში მიღებული წარმატებული შედეგისთვის, სკოლის მასწავლებელს გადაეცემა პრემია და დირექციის მიერ გაეწევა რეკომენდაცია საგნობრივი ჯგუფის კათედრის ხელმძღვანელად ასარჩევად. შინაგანაწესის თანახმად, მასწავლებელთა მიღება ხდება კონკურსის წესით. დასახელებულია კონკურსისთვის საჭირო დოკუმენტაცია, კონკურსის ეტაპები, თუმცა არაფერია ნათქვამი სად ხდება ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის განთავსება. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულება განაცხადს ღია კონკურსის შესახებ აკეთებს საიტზე teacherjobs.ge. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო <u>**შინაგანაწესის რამდენიმე ვარიანტი.**</u> მათ შორის ფიქსირდებოდა მნიშვნელოვანი შინაარსობრივი სხვაობა. დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით ტექნიკური შეცდომის გამო არასწორად იყო მოწოდებული შინაგანაწესი. <u>**აღნიშნული ვარიანტის შინაგანაწესით არ არის განსაზღვრული თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესების გამჭვირვალე სისტემა.**</u> ინტერვიურების დროს სკოლის წარმომადგენლებმა დაასახელეს შინაგანაწესის მოქმედი ვარიანტი(დირექტორის მიერ 2021 წლის 16 ოქტომბერს დამტკიცებული), მაგრამ <u>**აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით გაურკვეველი რჩება თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესების სისტემა.**</u> რამდენადაც დაწესებულებას არ გააჩნია სხვა დოკუმენტი ან/და დებულება, რომელიც დაარეგულირებდა სკოლაში თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესებს, შესაბამისად გაურკვეველი რჩება სკოლაში თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების პროცედურა. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია დოკუმენტაციების შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • შრომითი ხელშეკრულებები; • სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• გასაუბრება მასწავლებლებთან. • 2022 წლის 24 ივნისის ბრძანება N2-45 შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო ადგილი, დრო და დასვენების დრო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელება, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები სტატუსის მითითების გარეშე, რაც ეწინააღმდეგებოდა ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს. ამასთანავე მასწავლებლებთან ხელშეკრულებები გაფორმებული იყო 16 სექტემბრის თარიღით, რაც თავის მხრივ ვერ უზრუნველყოფდა სწავლის დაწყებამდე (სკოლამ სწავლა დაიწყო ონლაინ რეჟიმში 15 სექტემბერს) პერსონალის ჩართულობას ახალი სასწავლო წლის სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცედურებში. ამასთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებებში იყო ტექნიკური შეცდომა, რამდენადაც ხელშეკრულებები რეალურად გაფორმებული იყო 6 სექტემბერს. ექსპერტთა ვიზიტის დასრულებამდე დაწესებულებამ წარმოადგინა დაკორექტირებული ხელშეკრულებები სტატუსების აღნიშვნით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ კანონის მუხლი 11 პუნქტი 1-ის შესაბამისად. ხელშეკრულება პერსონალთან გაფორმებულია ძირითადად 30 ივნისის ჩათვლით. ყველას პირადი საქმეს თან ახლავს ავტობიოგრაფია (cv), პირადობისა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების, სერტიფიკატების ასლები. მათ შორის არ არის ცნობა-საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების კანონის“ 33-1 მუხლით განსაზღვრული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, რომლის თანახმად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, პერსონალის პირად საქმეში ჰქონდეს ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ. სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს <u>დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა პერსონალის ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ.</u> ინტერვიურების დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ არ იცოდნენ ამ ცნობის საჭიროების შესახებ. ვიზიტის დროს ექპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია პირადი საქმეების მოწესრიგების შესახებ ,,ზოგადი განათლების კანონის“ 33-1 მუხლით განსაზღვრული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის წესის შესაბამისად. <u>არგუმენტირებული პოზიციის დროს დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა აღნიშნული ცნობები კანონმდებლობის შესაბამისად.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გაფორმებული ხელშეკრულებები; • შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას შინაგანაწესი; • პირადი საქმეები; • ინტერვიურება; • 2022 წლის 24 ივნისის ბრძანება N2-45 შინაგანაწესის ცვლილების შესახებ; • თანამშრომელთა ცნობები„სქესობრივი თავისუფლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერია ჩართულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში და აწარმოებს შესაბამის დოკუმენტაციას. ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მაისის #241 დადგენილების საფუძველზე, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით“ გათვალისწინებული პროცესების ეფექტურად განხორციელების მიზნით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო შეფასების დებულება, რომლითაც განისაზღვრება სკოლის შეფასების მიზნები, ამოცანები და ძირითადი პრინციპები; შეფასების პროცესზე უფლებამოსილი პირები და ვადები; დოკუმენტში აღწერილია ჯგუფის სამუშაოთა ჩამონათვალი; მასწავლებლის შეფასების კრიტერიუმები. სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ სკოლა ორიენტირებულია ხელი შეუწყოს მასწავლებელებს პროფესიულ განვითარებაში, რისთვისაც სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებს ,,კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეგების გაკვეთილზე ურთიერთდასწრების და უკუკავშირის დოკუმენტაცია. თავად ხარისხის მენეჯერი მასწავლებელთა საჭიროების გამოვლენისთვის სასწავლო წლის განმავლობაში ესწრება სხვადასხვა გაკვეთილებს შესაბამისი რუბრიკებით და აძლევს მათ წერილობით უკუკავშირს. მასწავლებლები ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს. სკოლა სარგებლობს ასევე ,,ინგლიშ ბუქ ედუქეიშენ“-ის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიერ ორგანიზებული სემინარებით, ტრენინგებით და ვებინარებით, რომელზეც ინგლისური ენის მასწავლებლები ესწრებიან. სკოლის მასწავლებლები გასაუბრებისას აღწერენ გაკვეთილზე დასწრების პროცედურებს და მასწავლებლის ან კლასის საჭიროების შესაბამის აქტივობებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა; • სკოლის ორგანიზატორის ანგარიში; • სკოლის ხარისხის მენეჯერის ანგარიში; • მასწავლებლების პირადი საქმეები; • ხარისხის სამსახურის დებულება; • მასწავლებლის შეფასების ჯგუფის დებულება; • კათედრების ანგარიში; • სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება. • მასწავლებლებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოსწავლეებთან, მშობლებთან და სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის გარემო. მშობლები აქცენტს აკეთებენ დამრიგებელსა და მოსწავლე/მშობელთან ურთიერთობის ასპექტებზე. კმაყოფილებას გამოთქვამდნენ როგორც დამრიგებლის, ასევე კონკრეტული საგნის მასწავლებლებისგან ინფორმაციის სისტემატურად მიწოდებისა და კონკრეტულ საჭიროებაზე თანამშრომლობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიც აქტიურად თანამშრომლობს პედაგოგებთან კონკრეტული გამოწვევების დასაძლევად. შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას მოსწავლეთა თვითმართველობის დებულების საფუძველზე სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა. ადმინისტრაციის მხარდაჭერით თვითმართველობა ატარებს სხვადასხვა აქტივობებს: საახალწლო საღამოებს-მოსწავლეებმა საკუთარი ინიციატივით მორთეს სკოლის შესასვლელი. ანხორციელებენ სპორტულ შეჯიბრებებს და სხვა. თვითმართველობის ყველა წევრი თანაბრად ინაწილებს პასუხისმგებლობას დაგეგმილ აქტივობებში. მოსწავლეებმა მოაწყვეს საქველმოქმედო აქცია უკრაინელი ხალხისთვის: შეგროვდა ჰუმანიტარული ტვირთი და მისი ტრანსპორტირებაც მოახდინეს საკუთარი ძალებით ქალაქ თბილისის მერიის მიერ მითითებულ მისამართზე; გაზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით მოსწავლეებმა დაასუფთავეს სკოლის ეზო და მიმდებარე ტერიტორია. სკოლის ორგანიზატორი ინტერვიურებისას აღნიშნავდა, რომ მათთვის მნიშვნელოვანია როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ გარემოში მოსწავლეებთან ურთიერთობა და თანამშრომლობა. მის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, სკოლაში ჩატარდა შემოდგომის კვირეული - „შემოდგომის გაცილება“, საშემოდგომო კოსტუმირებული წარმოდგენები; მოხდა გასვლა ეროვნულ მუზეუმში ისტორიის მასწავლებლის ხელმძღვანელობით; მოსწავლეებმა მოინახულეს ილია ჭავჭავაძის და ნიკოლოზ ბარათაშვილის მუზეუმები; დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს შოკოლადის მუზეუმში შემეცნებით პროგრამაზე; სკოლის ბიბლიოთეკაში ჩატარდა წიგნის კითხვის კვირეული, სადაც მოსწავლეების მიერ შერჩეული ლიტერატურიდან ხმამაღლა უკითხავდნენ მსმენელს მოთხრობებს. მონაწილე მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სპეციალურიი სიგელებით; მარტში ბიოლოგიის მასწავლებლის ხელმძღვანელობით მე-11 კლასის მოსწავლეებმა ჩაატარეს კონფერენცია. დაუნის დღესთან დაკავშირებით სკოლის მასშტაბით ბავშვებმა დახატეს, დაამზადეს პლაკატები, ჩაიცვეს ფერადი ხელთათმანები. სკოლაში არიან აზერბაიჯანელი ბავშვებიც. მოსწავლეები ინტერვიურებისას აცხადებდნენ, რომ მათ არაქართველ თანატოლებთან აქვთ მეგობრული ურთიერთობა და ცდილობენ ყოველთვის პატივისცემით მოეკიდონ ერთმანეთის გასხვავებულ ეთნოწარმომავლობას. აღსანიშნავია, ისიც, რომ ენობრივი ბარიერის აღმოსაფხვრელად მასწავლებლები გახანგრძლივებულის პერიოდში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ცდილობენ დაეხმარონ აზერბაიჯანელ მოსწავლეებს ქართული ენის უკეთ დაუფლებაში. ინტერვიურებისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგაწესი; • შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება; • სკოლის სოციალური ვებგვერდი; • სკოლის ორგანიზატორის ანგარიში; • სკოლის ხარისხის მენეჯერის ანგარიში; • დამრიგებლების სამოქმედო გეგმა და ანგარიშები; • სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება; • მშობლებთან გასაუბრება; • მასწავლებლებთან გასაუბრება; • მოსწავლეებთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	• პერსონალის პირადი საქმე მოწესრიგდეს საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების კანონის“ 33-1 მუხლის შესაბამისად. პერსონალის პირად საქმეში უნდა ინახებოდეს ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. • დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს თანამშრომელთა შერჩევის, მიღების და გათავისუფლების წესი კანონმდებლობის შესაბამისად.
რჩევები:	
ხარვეზები:	3.3. შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ვერ უზრუნველყოფს თანამშრომელთა შერჩევის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიღებისა და გათავისუფლების გამჭვირვალე სისტემის არსებობას.
სტანდარტის შეფასება	☐სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ.თბილისი 04.07.2022

(შევსების ადგილი)
თარიღი
გვერდების რაოდენობა 56

56

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.